

საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების შეფასება

დაწყების თარიღი: 01.07.2013

დასრულების თარიღი: 30.07.2016

პროექტის აღწერა:

პროექტი ითვალისწინებს საქართველოში არსებული მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასების ელექტრონული სისტემის შექმნას. აღნიშნული სისტემის საქართველოში დანერგვით შესაძლებელი გახდება დაითვალოს და ელექტრონულად აღირიცხოს წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის დანერგვის შემდეგ, შემუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო მიიღებს ახალ ჰიდროლოგიურ მონაცემებს და მის ანალიზზე დაფუძნებულ საინვესტიციო პროექტებს შეიმუშავებს, რომელიც თავის მხრივ, ინვესტორს ფინანსური და ტექნიკური კუთხით პროექტის განხორციელებას გაუმარტივებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

1. გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაუმჯობესება მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის კუთხით;
2. გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაუმჯობესება წყლის რესურსების მონიტორინგისა და მართვის კუთხით;
3. მონაცემთა თანამედროვე ბაზაზე დაყრდნობით, წყალმომარაგების და ირიგაციის სისტემების დაგეგმარების, დაბინძურების კონტროლის, გვალვებისა და წყალდიდობების პროგნოზირების შესაძლებლობების ამაღლება;
4. გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის განსაზღვრის კუთხით და დაინტერესებული მომხმარებლისთვის ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობის შექმნა.

მიზნობრივი ტერიტორია: მთელი ქვეყანა

სფერო: წყლის რესურსები

დონორი:

ნორვეგიის სამეფო - საგარეო საქმეთა სამინისტრო

<https://www.regjeringen.no/en/dep/ud/id833/>

განმახორციელებელი:

ორგანიზაცია: ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერჯეტიკის დირექტორატი;

ტელეფონი: +47 22 95 95 95

მისამართი: Middelthunsgate 29, ქ. ოსლო 5091 Majorstua, N-0301, ნორვეგია

ვებ-გვერდი: www.nve.no

საკონტაქტო პირი: შელ რეპი

ელ-ფოსტა: kre@nve.no;

ორგანიზაცია: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;

ტელეფონი: +995 32 235 78 04

მისამართი: სანაპიროს ქ. 2, თბილისი 0105, საქართველო

ვებ-გვერდი: www.energy.gov.ge

საკონტაქტო პირი: ლიზა თავდუმაძე

ელ-ფოსტა: L.Tavdumadze@energy.gov.ge

ორგანიზაცია: სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო;

ტელეფონი: +995 32 243 95 00

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. #150, თბილისი 0112, საქართველო

ვებ-გვერდი: www.nea.gov.ge

საკონტაქტო პირი: ლია მეგრელიძე

ელ-ფოსტა: l_megrelidze@hotmail.com

მაილსტონები:

სასწავლო პრაქტიკული სემინარების ორგანიზება, სადაც განხილული იქნება:

- ჰიდროლოგიური მოდელირება და პროგნოზირება HEC-HMS, HEC-GeoHMS, HEC-DSS and HEC-DSSVue პროგრამული საშუალებებზე დაყრდნობით.
- ჰიდროლოგიური მოდელის გამართვა და კალიბრირება;
- ჰიდროლოგიური მოდელის ექსპლუატაცია და შედეგები.

ბიუჯეტი: 1 792 800 EUR